15-ს სეკტემბერს. № 18. 1885 წელსა.

# მწყემსი

ორ-კვირეული გამოცემა. ოფიციალური ნაწილი.

## განჩინებანი უწმიდესი სინოდისა:

### 10 ივლისიდამ და 9 აგვისტოდამ 1885 წ. № 1363, საქართველოს საექსარხოსოის ახლად დაყოფაზე ეპარქიებად შტატითურთ ეპარქიალურ სამმართველოთა.

უქაზისა მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს: წინადადება უ. სინოდალნი ობერ-პროკურორისა, 28 ივნისიდამ მიმდინარე წლისა № 8200, შემდეგი შინაარსისა: სახელმწიფო რჩევამ სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტში და საზოგადო კრებაზე, განიხილა რა სინოდის ობერ-პროკურორის წარდგინება საქართველოს საექსარხოსოის ეპარქიებად ახალ განაწილებაზე, აზრით დაადგინა: 1) საქართველოს საექსარხოსოის შედგენილობაში მოხდეს ახალი განაწილება ეპარქიათა, და სახელდობ, შესდგეს: ა) საქართველოს ეპარქია შემდეგი გუბერნიებისაგან: თბილისისა, ბაქოსი, ელისავეტოპოლის და ერევნისაგან და ყარსის, დაღესტანის და კასპიის გადაღმა სამთავროებისაგან, საქართველოს ექსარხოსის გამგეობის ქვეშე, ერთი ვიკარი თურთ; ბ) იმერეთისა, მაზრებისაგან: ქუთაისისა, შორაპნისა და რაჭისა, ქუთაისის გუბერნიისა, იმერეთის ეპისკოპოსის გამგეობის ქვეშე, და გარდა დაწესებულის ვლადიკავკაზის ეპარქიისა, რომელიც უმაღლესად დამტკიცებულ არს 23 აპრილს, 1885 წ. სახელმწიფო რჩევის აზრისა მებრ, დამწესდეს ორი ახალი ეპარქია ცალკე ეპისკოპოსებით; ა) გურია-სამეგრელოისა, ნაცვლად გურიის ეპარქიისა და სამეგრელოის საქორეპისკოპოსოისა,—მაზრებისაგან: ლეჩხუმისა, სენაკისა, ზუგდიდისა და ოზურგეთისა, ქუთაისის გუბერნიისა, და ბათუმის და ართვინის ოლქთაგან და ბ) სოხუმისა, ნაცვლად აფხაზეთისა, სოხუმის ოლქისაგან და შავი ზღვის ოლქის ნაწილისაგან (შემდეგი ქალაქებით: ნოვოროსიით, ანაპით და სოფლებით: ველიამინოვის, გელუნდჟის, ჯუბის, ვულანის და დახოვის სამხედრო სადგურის ადლერისაგან (სოჩა) და ვესელის სოფლით, რომელნიც შეადგენდენ დღემდი კავკასიის ეპარქიას). 2) პროექტი შტატებისა იმერეთის, გურია-სამეგრელოის და სოხუმის საეპარქიო სამმართველოებისა მიერთვას მის იმპერატორებით უდიდებულესობას უმაღლესად დასამტკიცებლად, და 3) დღეს დანიშნული ხარჯების შესავსებლად მიეცეს სახელმწიფო ხაზინისაგან 1886 წლიდამ: სოხუმის ეპარქიალური სამმართველოის შესანახავად სამი ათას რვაასი მანეთი ყოველ წელს და აღნიშნული ჯამი უნდა შერიცხულ იქმნეს უწმიდესის სინოდის საფინანსო ხარჯთა აღრიცხვის ქვემდებარე განყოფილებაში და მასში მოხსენებული შტატი 12 ივნისიდამ 1885წ. დამტკიცებულ არიან უმაღლესად. და შემდეგ შემოწმებისა, ბრძანეს: აწინდელს უმაღლეს ბრძანებაზე, საყოველთაო საცნობლად დაბეჭვდისათვის ეცნობოს «საეკკლესიო მოამბის» რედაქციას, და თან გაეგზავნოს პირი უმაღლესად დამტკიცებულის 12 ივნისიდამ 1885 წ. შტატისა იმერეთის, გურია-სამეგრელოის და სოხუმის ეპარქიალურ სამმართველოთა.

---

ნამდვილზე საკუთარი მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელით დაწერილია: «ასე იყოს».

პეტერგოფი,
12 ივნისს, 1885 წელსა.

### შ ტ ა ტ ი

იმერეთის, გურია-სამეგრელოის და სოხუმის ეპარქიალური სამმართველოებისა.

ა. არქიერის სასახლეთა შესანახავად.

I. ი მ ე რ ე თ ი ს:

| | |
|---|---|
| არქიერის ჯამაგირად . . . . . | 3000 მ. |
| სასახლის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის | 1200 მ. |
| | 4200 მ. |

## II. გურია-სამეგრელოისა:

| | |
|---|---|
| არქიერის ჯამაგირად . . . . . | 3000 მ. |
| სასახლის სხვა და-სხვა საჭიროებისათვის | 1200 მ. |
| | 4200 მ. |

## III. ს უ ხ უ მ ი ს ა:

| | |
|---|---|
| არქიერის ჯამაგირად . . . . . | 3000 მ. |
| სასახლის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის | 800 მ. |
| | 3800 მ. |

### ბ. ეპარქიალური კანცელარიების შესანახავად.

| | რიცხვი პირთა. | ჯამაგირი წელიწადში. მანეთი. ერთს. | სრულიად | კლასი სამსახურისა და რიგი: თანამდებობისა მიხ. | მუნდირისა მიხ. | პენსიისა მიხ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **I. იმერეთისას:** | | | | | | |
| კანცელარიის მდივანს . . . . | 1 | 970 | 970 | VIII | VIII | VI |
| დივნის თანაშემწეს | 1 | 600 | 600 | IX | IX | VIII |
| მწერლების შესანახავად . . . . | — | — | 730 | — | — | — |
| კანცელარიის და სხ. ხარჯებისათვის . . | — | — | 480 | — | — | — |
| | — | — | 2770 | | | |
| **II. გურია-სამეგრელოისას:** | | | | | | |
| კანცელარიის მდივანს . . . . | 1 | 970 | 970 | VIII | VIII | VI |
| მდივნის თანაშემწეს | 1 | 600 | 600 | IX | IX | VIII |
| მწერლების დასაქირავებლად . . | — | — | 480 | — | — | — |
| კანცელარიის და სხ. ხარჯებისათვის . . | — | — | 450 | — | — | — |
| | | | 2500 | | | |
| **III. სუხუმისას:** | | | | | | |
| მწერალს . . . | 1 | 600 | 600 | IX | IX | VIII |
| მწერლების დასაქირავებლად და კანცელარიის და სხვა ხარჯებისათვის . . | — | — | 500 | — | — | — |
| | | | 1100 | | | |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: 1) საფუძველსა ზედა უმაღლესად დამტკიცებულის, 26 მაისიდამ 1881 წ., სახელმწიფო რჩევის აზრისა (მ. 1), მდივანთა, მათ თანაშემწეთა და მწერლისთვის დანიშნული საზოგადო ჯამი უნდა ითვლებოდეს ამგვარად: ერთი მეოთხედი ბინის ფულებად, და დანარჩენი სამი მეოთხედისაგან—ნახევარი ჯამაგირად, და ნახევარი საჭმელ-სასმელის ფულებად.

2) მდივნები მწესდებიან თანამდებობაზე და ითხოვებიან საქართველოს ექსარხოსისაგან, ადგილობითი ეპისკოპოსების წარდგენილობისა მებრ, უწმ. სინოდის ობერ-პროკურორთან ადრივე მიწერ-მოწერის შემდეგ. მდივნების თანაშემწენი და საქმის მწარმოებელი სუხუმის ეპარქიალური სამმართველოისა (რომელიც შეიძლება სასულიერო პირთაგანიც იყოს) მწესდებიან და ითხოვებიან სამსახურისაგან საქართველოს ექსარხოსისაგან, აგრეთვე ეპისკოპოზების წარდგენით. მწერლები მწესდებიან ეპისკოპოსებისაგან.

### გ. კათედრის სობოროების შესანახავად.

| | რიცხვი პირთა. | წლიური ხარჯი მანეთი. ერთს. | ყველას. |
|---|---|---|---|
| **I. ი მ ე რ ე თ ი ს ა ს.** | | | |
| დეკანოზს . . . . . . . . | 1 | 450 | 450 |
| კანდელაკს . . . . . . . . | 1 | 400 | 400 |
| მღვდლებს . . . . . . . . | 2 | 350 | 700 |
| პროტო-დიაკონს . . . . . | 1 | 400 | 400 |
| მთავრებს . . . . . . . | 2 | 200 | 400 |
| იპო-დიაკვნებს . . . . . | 2 | 150 | 300 |
| მედავითნეთ . . . . . . | 2 | 120 | 240 |
| ეკკლესიის მოსამსახურის დასაქირავებლად . . . . . . | — | — | 240 |
| პევჩების შესანახავად . . . . | — | — | 1250 |
| საეკკლესიო ხარჯისათვის . . | — | — | 120 |
| | — | — | 4500 |
| **II. გურია სამეგრელოისას.** | | | |
| დეკანოზს . . . . . . . . | 1 | 450 | 450 |
| კანდელაკს . . . . . . . . | 1 | 400 | 400 |
| მღვდლებს . . . . . . . . | 2 | 350 | 700 |
| პროტო-დიაკონს . . . . . . | 1 | 400 | 400 |
| მთავრებს . . . . . . . . | 2 | 200 | 400 |
| იპო-დიაკვნებს . . . . . . | 2 | 150 | 300 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | |
|---|---|---|---|
| მედავითნეთ . . . . . . . . | 2 | 120 | 240 |
| ეკკლესიის მოსამსახურეთა დასაქირავებლად . . . . . . . . | — | — | 120 |
| პევჩების შესანახავად . . . . . | — | — | 500 |
| ეკკლესიის ხარჯებისათვის . . | — | — | 300 |
| | — | — | 3810 |

II. სუხუმისას.

| | | | |
|---|---|---|---|
| დეკანოზს ანუ არქიმანდრიტს . | 1 | 800 | 800 |
| მღვდლებს ანუ მღვდელ-მონაზონებს . . . . . . . . | 3 | 600 | 1800 |
| მთავრებს ანუ იერო-დიაკვნებს | 3 | 460 | 1380 |
| მედავითნეთ . . . . . . | 4 | 280 | 1120 |
| პევჩების შესანახავად და სობოროს საჭიროებისათვის . . | — | — | 600 |
| | — | — | 5700 |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. ეკკლესიის მოსამსახურეთა და მგალობლების რიცხვის განსაზღვრა და მათთვის ჯამაგირის დანიშვნა მოხდება ყოვლად სამღვდელოების შეხედვისა მებრ.

ფულები ეპარქიალური სამმართველოების შესანახავად, რომელიც აღრიცხულია ამა შტატით, ინიშნებიან: 11,470 მ. იმერეთის საეკკლესიო ხაზინისაგან შესანახავად იმერეთის სამმართველოისა; 2) და 4,200 მ. სამეგრელოის საეკკლესიო ხაზინისაგან გურია-სამეგრელოის სამმართველოის შესანახავად, და 3) 10,600 მ. სახელმწიფო ხაზინისაგან შესანახავად სუხუმის სამმართველოისა.

სახელმწიფო რჩევის თავს-მჯდომარის მაგიერი
გენერალ-ადიუტანტი ნოვოსილსკი.

ჩვეულებრივ დროს, ლიტურგიის გათავების შემდეგ, ტაძრებში დაწესებულ შეწირულებათა შეკრებაზე მარიამის ბრმათა სამზრუნველოის სასარგებლოდ და ამის შესაფერი სიტყვის წარმოთქმაზე.

Oუქაზისა მებრ მისის იმპერატორებითის დიდებულებისა უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს: წინადადება ბ. სინოდის ობერ-პროკურორისა, ამა წლის 6-ის თიბათვიდგან № 2727, ასაცილებლად იმ უმარჯულობათა, რომელნიცა წარმოსდგებიან, ზრმის კვირიაკეს ზედა სახარების წაკითხვის შემდეგ ქადაგების წარმოთქმისაგან და მის მერე მარიამის ბრმათა მოწყალების სამზრუნველოს სასარგებლოდ ტაძრებში ფულით შეწირულებათა შეგროებისაგან. და, გამოკვლევის შემდეგ, ბრძანეს: ამა საქმისაგან ჩანს: მარიამის ბრმათა მოწყალების სამზრუნველოის საბჭოის თავს მჯდომარის შუამდგომლობით, უწმიდესი სინოდისაგან 1881-სა წელსა ნებართულია საყოველგნო შეგროება, ზრმის კვირიაკეს შინა, ქალაქების და მონასტრების ეკკლესიებში, შეწირულებათა ზემორე აღნიშნულის სამზრუნველოის სასარგებლოდ; ხოლო ეკკლესიის მსახურთა წინადადება მიეცათ წარმოსთქვან ამა კვირიაკეს შესაფერი სიტყვა შეწირულების მნიშვნელობაზე. შემდეგ კიდევ 1882-ს წელს, უწმიდესის სინოდისაგან, თანხმად აღნიშნული სამზრუნველოის თავს-მჯდომარის შუამდგომლობისა, ცირკულიარით მიწერილ იქმნა სასულიერო უწყებისადმი, რათა განწესებული სიტყვა წარმოითქვას უსათუოდ ზედ სახარების წაკითხვის შემდეგ. ამ წესით შეგროებას აღნიშნულთ შეწირულებათა, როგორც გვიჩვენა ოთხის წლის გამოცდილებამ, თუმცა კი მოსდევს სასიკეთო შედეგი ბრმათა მოწყალების სამზრუნველოსათვის; გარნა მას თან მოსდევს რამოდენიმე უმარჯულობა. აღნიშნულ შეწირულებათა გასამართებლად წარმოთქმა საგანგებო სწავლათა, საღვთო ლიტურღიის გათავებისას კი არა, არამედ ზედ სახარების წაკითხვისათანავე და მაშინვე ფულის გროება ბრმისა ღძრვენ ღვთის სამლოცველოებში დრტვინვასა. ზრმის კვირიაკის დღეს ტაძრებში დამსწრე მართლ-მადიდებელ მრევლთაგან ყოვლად ით მოისმის ყვედრება ღვთის მსახურების შეჩერებისა გამო; ძველთაგანვე მიღებულის ჩვეულების წინააღმდეგ ლიტურგიის დასაწყისში სწავლათა წარმოთქმისა გამო.—და აგრეთვე აქედამ წარმომდგარის საღვთო მსახურების აღსრულების დაგვიანებისა და ამ დროს ოდნაკის არეულობისა გამო; ზოგიერთნი კი სრულებით ერიდებიან ამ დღეს ეკკლესიაზე წასვლას. ზანსარინებლად ზემორე აღნიშნულთ უმარჯულობათა უწმიდესმა სინოდმა დაადგინეს: მიწერილ იქმნეს ცირკულიარით სასულიერო უწყებისადმი, რათა განწესებული, ქალაქის და მონასტრის ეკკლესიებში, ზრმის კვირიაკეს, მარიამის ბრმათა სამზრუნველოის სასარგებლოდ, შეწირულებათა მოგროება სწარმოებდეს და შესაგვანი სიტყვა ამ შეწირულებათა მნიშვნელობაზე შემდეგ ამისა წარმოითქმოდეს არა ზედ სახარების წაკითხვისათანავე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არამედ ამისათვის ჩვეულებრივს დროს, ლიტურგიის გათავების წინათ; რასა ზედა, აღსასრულებლად სათანადო განკარგულებათა, ეუწყოს ცირკულიარით, დაბეჭდილ უქაზებით, ეპარქიის მღვდელ-მთავრებს, მოსკოვის და საქართველო-იმერეთის კანტორებს და მთავარ-მღვდელს ჯარისა და ფლოტისას. აგვისტოს 8-ს დღეს, 1885 წელსა.

## უმაღლესი ბძანებისა მებრ. ნამდვილ აღსრულებისათვის 67 მუხ. სამოქ. კანონ. კრებისა ტ. X, 1 ნ. 1857 წლისა.

ოქაზისა მებრ მისი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა და უმართებულესმა სინოდმა მოისმინეს: 1) წინადადება უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორისა, 4 ამა აგვისტოდამ № 80 და 2) უმაღლესი ბრძანებისა მებრ მოხსენება ზოგიერთ ადგილებში მოხდენილ გადახდომაზე კანონის ნამდვილი აზრისაგან 67 მუხ. 1 ნ. X ტ. სამოქალაქო კანონ. კრებ. და ამა კანონის ნამდვილ აღსრულებისათვის ხელ-ახლა განმეორების საჭიროებაზე და გამოკვლევის შემდეგ, ბრძანეს: სამოქ. კანონ. კრებ. 1857 წ. ტ. X ნ. 1, 67 სტატიით დადგენილ არს: «თუმც საცოლო ანუ სარძლო არიან მართლ-მადიდებელი აღსარებისანი, ამ შემთხვევაში ყოველგან, გარდა ფილიანდიისა (რომლის მკვიდრი მცხოვრებნი 68 სტატიით განთავისუფლებულნი არიან) ითხოვება, სხვათა შორის, რათა პირნი სხვა აღსარებათა, რომელნიცა ჯვარს იწერენ რომელიმე მართლ-მადიდებელ აღსარების პირზე, მისცემდენ ხელ-წერილს, რომ იგინი არც შეურაცხევენ თავიანთ ქმრებს მართლ-მადიდებლობისთვის, არც აიძულებენ მათ მოტყუებით, შიშით ანუ სხვა რაიმე საშუალებით მიაღებინონ მათ თავიანთი სარწმუნოება, და რომ ამ ქორწინებაში დაბადებულნი ყმაწვილები მონათლულ და აღზრდილ იქმნებიან მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა მებრ; ამ ხელ-წერილსართმევს მღვდელი ჯვარის დაწერამდე წესისა მებრ (ამ სტატიაში მოხსენებულისა). ჯვარის დაწერის შემდეგ ხელ-წერილი წარედგინება ეპარქიის არქიერს». რადგან ეს კანონი ყველასათვის სავალდებულოა მთელს რუსეთში გარდა ფილიანდიისა (68 მუხ. იმავე ტომისა), რომლისათვისაც ადგილობით გარემოებათა მებრ არსებობს განსაკუთრებითი წესი, და რადგან კანონი დღემდე შეუცვლელად რჩება თავის ძალაში, უწმიდესი და უმართებულესი სინოდი ადგენს: განუმეორდეს ყველა ეპარქიების ყოვლად სამღვდელოებს, რათა მათ სასტიკი ყურადღება მიაქციონ მათდამი რწმუნებულ ეპარქიებში ამ კანონის სინამდვილით აღსრულებას მართლ-მადიდებელ პირთა სხვა ქრისტიანეთ აღმსარებლებთან შეუღლის დროს, რისთვისაც გაეგზავნოს ცირკულიარული უქაზები ყოვლად სამღვდელოებს და ყველა სხვა ეპისკოპოსებს.

ნამდვილ უქაზზე მოწერილია: ობერ-სეკრეტარი დ. სმირნოვი. მდივანი. ს. რომანოვსკი

## მართლ-მადიდებელი სასულიერო სასწავლებლების წესდებულება.

(გაგრძელება)

§ 80. გაკვეთილების რიცხვი საგნებზე და მათი დარიგება კლასებში აღნიშნულია წესდებულებაზე თან-დართულ ტაბლიცაში, რომელშიაც ცვლილებები შეიძლება მოხდენ მხოლოდ უწმიდესი სინოდის მიერ, განსაკუთრებულის საჭიროების მიხედვით.

§ 81. სწავლების მეთოდა უნდა ეხმარებოდეს ბუნებით ნიჭიერებათ და კანონიურ გახსნას და მიზდევდეს მას, რათა ყოველივე გარდაცემული მოსწავლეთადმი რაც შეიძლება უფრო გარკვევით იქმნეს მათგან შეთვისებული.

§ 82 მოსწავლეთაგან სასარგებლო წიგნების კითხვა, რომლებიც შეეფერება მათ წლოვანებას, უნდა განმხნობილ იქმნეს.

§ 83. სწავლა სასწავლებლებში გრძელდება მთელი წლის განმავლობაში, გარდა კვირა, სადღესასწაულო და უქმე დღეთა, და აგრეთვე ადგილობრივ უმეტეს თაყვანსაცემელ დღესასწაულთა, საზიარებლად მოსამზადებელ დღეთა, მიცვალებულთ მოხსენების დღისა, ხორციელ კვირაში და ვაკაციათა: ზამთრის 22 დეკემბრიდან 7 იანვრამდის და ზაფხულის, რომლებიც გრძელდებიან თვე ნახევარს.

შენიშვნა. ზაფხულის ვაკაციები სასწავლებლებში ინიშნებიან ერთსა და იმავე დროს ვაკაციებთან ადგილობრივ სემინარიაში.

§ 84. სასწავლო წლის გათავების შემდეგ ზაფხულის ვაკაციების წინ, სასწავლებლებში სწარმოებენ ეგზამენიები.

§ 85. აღსანიშნავათ მოსწავლეების წარმატებათა და აგრეთვე ყოფაქცევისა, იხმარებიან შემდეგი ბალები: 5—ჩინებულად, 4—ძლიერ კარგად, 3—კარგად, 2—საშუალოდ, 1—სუსტად.

15-ს სეკტემბერს. წელიწადი მესამე. 1885 წელსა.

# მწყემსი

№ 18.

ორ-კვირეული გამოცემა. არა ოფიციალური ნაწილი.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

„მწყემსი“ რუსული დამატებით—ექვსი მან.

ნახევარი წლით—ოთხი მან.

ცალკე რუსული დამატება წლით—სამი მან.

ნახევარი წლით—ორი მან.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ мѣстечко Квирилы, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედ აქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდად, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი.

უპირობოდ გამოგზავნილი სტატიები რედაქციის საკუთრებად ჩაითვლებიან და სასყიდელს მათთვის ავტორები ვერ მიიღებენ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

## ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ოცდა-ხუთი წლის მსახურებისა გამო იმერეთის ეპარქიაში.

(დასასრული).

განვლო მეოთხედმა საუკუნემ. მთელი ეს დრო არის დრო შრომისა და ბრძოლისა ქრისტეს ყანაში სხვა-და-სხვა უწესოების და უსამართლოების წინააღმდეგ. ვის არ უნახავს იგი სოფლებში ეპარხიის დახედვის დროს მქადაგებელი, რომელსაც კათედრად ქვა ანუ დიდი ხის ჯირკი ჰქონებია, ან ამაღლებული გორა ადგილი. ვის არ უნახავს იგი პაპანაქება სიცხეში მრავალ ხალხში ჩამდგარი და მჭევრ-მეტყველურად მამხილებელი ხალხის ცუდ-ზნეთა და ჩვეულებათა, განმმარტე ლოცვების და მცნებების... ეს ოცდა-ხუთი წელიწადი არის დრო მისი ნიადაგი შრომისა, ნიადაგი უსიამოვნებისა...

მოციქულის სიტყვისა მებრ მას არ მოჰკლებია ჭირი და უსიამოვნება თვისთაგან და არა თვისთაგან, შინაურთა და გარეგანთაგან. არც შეიძლება ამაებს ასცდეს მღვდელთმთავარი, რომელიც ბეჯითად და პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. ჩვენ ხალხში სამსახური მაინც საძნელოა. აქ საჭიროა სხვა-და-სხვა თავაზიანობა და, როგორც ჩვენში იტყვიან, «პოლიტიკობა», რომელიც ჩვენს მწყემსთმთავარს არ ჰქონდა და არც აქვს. პირდაპირი თქმა, მხილება და სხვა და სხვა უკანონო თხოვნათა აღუსრულებლობა და მთხოვნელთა უარყოფა საკმაო იყო ათას ნაირი უკმაყოფილების და უსიამოვნების შეძენისა... განვლო ოცდა ხუთმა წელიწადმა თითქმის. გსურსთ გაიგოთ გრძნობა და მისი (მღვდელთმთავრის) სულიერი მდგომარეობა? გსურსთ შეიტყოთ, თუ როგორ ატარებდა ამ გრძელ დროს და რა სიამოვნებას ჰპოვებდა თავის ცხოვრებაში? მოისმინეთ მისი ერთი უკანასკნელი სიტყვა, რომელიც მან უთხრა საზოგადოებას ქუთაისის სობოროში წირვის შემდეგ. აი ეს სიტყვა: «ოცდა-სამი წელიწადი ვარ მე ამ სამწყსოში, და, ვგონებ, ნამეტანი არ იქნება, რომ ვსთქვა, ორასი მაინც, თუ არა მეტი, დაბეზღება და მესმენა მიუვიდა ჩემზე უმაღლეს მთავრობას. რა ცოდვა და უსჯულოება არ მომაწერეს იმ დაბეზღებებში!.. და იქნება ვინმე იმ ჩემ დამბეზღებლებთაგანი და ცილის მწამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლებთაგანი არა თუ დაჩაგრული იყოს ჩემგან, არამედ დაჯილდოებულნიც... მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ის ჩემი მარადის დამბეზღებელი არის ერთი ვინმე სასულიერო წოდების კაცი. ის ჩემგან იქნება ამაღლებულია და დაჯილდოებული, და მაინც ცდილობს გამაშავოს—ესეც შესაძლებელია ჩვენ ქვეყანაში.

საკმაოა ეს სიტყვები, რომ ყველამ ცხადათ შეიტყოს ის ჭირი, უსიამოვნება და მწუხარება, რომელნიც მწყემსთ-მთავარს ნიადაგ ხვდებოდნენ წინ და ხვდებიან დღესაც. ჭეშმარიტად ბრძანებს მწყემსთ-მთავარი, რომ ყველა ესეები შესაძლებელია მარტო ჩვენ ქვეყანაში. დიაღ, ჩვენში სწორედ ნამეტნავად გაზვიადდა და გავრცელდა მეზღება: სად არ გინდა, რომ საზოგადოების მუშაკ პირთ აესეთი ჭირი და დაბრკოლებანი არ უხშავდენ გზას კეთილი მიზნისადმი! დღითი დღე მატულობს დასი ამ მოძმეთ მტერთა, მეშურნეთა და ხელის შემშლელთა.

მაგრამ ეს უბედური სენი—დაბეზღება და საზიზღარი პირები—დამბეზღებლები, სამწუხაროდ, არა მარტო ჩვენში არიან. დაბეზღება და დამბეზღებლები ყველგან არიან. ეს ცხადათ შენიშნულია მთელს რუსეთის იმპერიაში. სხვა ეპარქიებშიაც ამას ხშირად უჩივიან ყოვლად სამღვდელონი და მრავალს ადგილას იგინი (მღვდელ-მთავარნი) იძულებულნი არიან საქვეყნოდ ბეჭვდით გამოაცხადონ ხოლმე, რომ დაბეზღებით წერილებს არავითარი მნიშვნელობა არ მიეცემა მათგან. ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ თვითონ მღვდელ-მთავარზედაც შეუტანიათ მრავალგვარი შესმენა და დაბეზღებითი ქაღალდები. ორი და სამი უსინიდისო და სულით მდაბალი პირი ყოველ ადგილას და წოდებაში მოინახება. ამ გაფუჭებულ პირთა არც ამაღლება, არც დაჯილდოება და ვერც სხვა რაიმე გასწორებს. ისინი ისე მიჩვეულან ამ საზიზღარ ხელობას, რომ ვერ მოისვენებენ დღე და ღამე ამისთანა დაბეზღების ჯღაბნისაგან. შესმენა და დაბეზღება მათ თითქმის გაუმაძღარ მოთხოვნილებათ გარდაქცევიათ. მათ არც კი შეუძლიათ გადაეჩვიონ ამ საძაგელ ხელობას. მაგრამ ამისთანა კაცები ადვილად შესატყობნი არიან, თუ მაინცა-და-მაინც თვალზე ხელს არ დაიფარებენ და თუ ამ მაბეზღარა ფარისევლურ მოქმედებათა კარგად დააკვირდებიან.

მაგრამ აქ არ შეგვიძლია გვერდი აუაროთ ერთ გარემოებას, რომელსაც, ჩვენის აზრით, დიდი მნიშვნელობა ჰქონია ყოველთვის და დღესაც აქვს.

მაცხოვარი ჩვენი უფალი იესო ქრისტე ბრძანებს: არც ერთი წინასწარმეტყველი თვისსა სოფელსა არ შეწყნარებულაო. ჭეშმარიტად, მრავალი უსიამოვნების და უკმაყოფილების მიზეზი იმალება იმაში, რომ ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ჩვენგანია... იქნება, და თითქმის უეჭველია, მას პირად, კიდეც ერჩია სხვა, უცხო ეპარხიაში, სამსახური, მაგრამ რადგანაც ხედვიდა მის სამშობლოში უფრო სარგებლობას მოუტანდა ეკლესიას, აღარ მოინდომა გადასვლა სხვაგან. ჩვენ კი მისი სამწყსო, იმედია, ამას დავაფასებთ და ამით ვისარგებლებთ.

სხვაც მრავალი რამ გვაქვს სათქმელი მისს ყოვლად უსამღვდელოესობის გაბრიელის სასარგებლო და ნაყოფიერ სამსახურზე, მაგრამ ჯერეთ უდროვო არის მათზე ლაპარაკი და წერა; იმედია, შემდეგი დრო ჯეროვანად დააფასებს მის კეთილ და ნაყოფიერ სამსახურს.

## თბილისის ეპარქიალური ექვს-კლასიანი საქალო სასწავლებელი.

წარსული აგვისტოს ოცდა რვა რიცხვსა ჩვენ ვიყავით თბილისის ეპარქიალურ ექვს-კლასიან საქალო სასწავლებელში, რომლის დახედვამ და დათვალიერებამ მეტის-მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზედ. ვისწრაფით ეს შთაბეჭდილება განუზიაროთ ჩვენ სამღვდელოებას და ყველა იმათ, რომელთაც გული შესტკივათ ჩვენი მოზარდე ქალების აღზრდისათვის.

ყველამ იცის, რომ მისმა მაღალ ყოვლ. უსამღ. მოსკოვის მიტროპოლიტმა იოანიკემ, საქართველოს ექსარხოსად ყოფის დროს, დიდი და შესანიშნავი კეთილი საქმე მოახდინა. ჩვენ მოგახსენებთ მის მიერ ამ საქალო სასწავლებლის დაარსებაზე მისი უხვი საკუთარის შეწირულებით, სადაც დღეს მისი ხარჯით დაარსებულ სტიპენდიებით იზრდება ორმოცამდე ქართველი მოზარდე ქალი. ეს მოვლენა ჩვენში მეტის-მეტად იშვიათი და შესანიშნავია და ქართველებისათვის სამუდამოდ სახსოვარი და მადლობით მოსაგონებელი საქმეა, მით უმეტეს, რომ ამ სტიპენდიებით ერთგვარად სარგებლობენ მთელი საექსარხოსოის ყოველი კუთხის სასულიერო წოდების ყმაწვილი ქალები. ესრეთი შესანიშნავი საქმის მოხდენა საქართველოს ექსარხოსისაგან პირველი საქმეა.

მაგრამ არა ნაკლები ზრუნვა და შემწეობა აღმოუჩინა ჩვენი სასულიერო წოდების ქალების აღზრდის საქმეს მისმა ღირსეულმა მოადგილემ მაღალყოვლ. უსამღ. საქართ. ექსარხოსმა არქიეპისკოპოზმა პავლემ. მობრძანდა თუ არა, მან მაშინვე მიაქცია ყურადღება ამ სასწავლებლის საკუთარი ბინის უქონებლობას. ვინ არ იცის, რომ სწავლის რიგიანად და ჯეროვანად წარმატებას და მოსწავლე ყმაწვილების ჯანმრთელობას მეტად ხელს უშლის შესაფერი, გიგიენურად მოწყობილი სახლის უქონელობა. ამისათვის მწყემსთ-მთავარმა იხმარა მრავალგვარი ზომები, რათა ამგვარი ბინა მოეპოებია ქალაქშივე ზომიერ ფასად—და ეს ცდა, როგორც ვიცით, დღეს კიდევაც დაგვირგვინდა. სახლი იქმნა ნაყიდი ძუკიაში ბ. ზეტცერისაგან ორმოც ათას მანეთად. ჩვენ დავათვალიერეთ ამ სასწავლებლის ყველა ოთახები და ეზო ყველა შენობებით თურთ და, უნდა ვსთქვათ მართალი, ეს სახლი ღირს რვაათას თუმნათ. სახლი არის სამ სართულიანი, აუარებელი მაღალ კედლებიანი ვრცელი ოთახებით, სავსე სინათლით და მშვენიერი მთელი სახლის გამწვრივ ბალკონებით ყოველ სართულზე, მშვენიერად მოწყობილი სამზარეულო, სასარეცხო და სასადილო ოთახები. შენობა მტკიცე და საფუძვლიანია. ეზოც საკმაო და შემოზღუდულია. ამ სახლის გადასაკეთებლად სკოლის მოთხოვნილებათა დაგვარ და ეკლესიის გასამართავად მშვენიერი კანკელით დახარჯულა სულ მცირე ფასი—4—5 ათასი მანათი. თბილისის საქალო სასწავლებელი მიტროპოლიტი იოანიკეს დროს შესდგებოდა მხოლოდ სამი კლასისაგან; დღეს ეს სასწავლებელი მწყემსთ მთავრის არქიეპისკოპოსის პევლეს მეცადინეობით შეიცავს ექვს კლასს. 1883 წელშივე მისცა წინადადება მაღალყოვლ. სამღვდელო. პავლემ ეპარქიის სამღვდელოებას ადგილობრივ ბლაღოჩინების შეკრებილებაებზე მოეფიქრებიათ, სხვათა შორის, ამ სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთებაზე. სამღვდელოებამ აღტაცებით მიიღო ეს აზრი, მაგრამ თავისი სიღარიბისაგამო თითქმის ვერ ბედავდა ამ საქმის სისრულეში მოყვანის შედგომას. როდესაც გამოცხადდა სამღვდელოება საზოგადო ეპარქიალურ შეკრებილებაზე თბილისში,—მაღალ ვოვლად სამღვდელომ პავლემ გაამხნევა იგი და გამონახა ისეთი წყაროები, რომლებითაც სამღვდელოებას გაუადვილა სამ-კლასსიანი სასწავლებლის ექვს-კლასსიანად გარდაკეთება და ამისათვის საჭირო ხარჯის დაფარვა.

ჩვენ თვითონ ვნახეთ მაღალ ყოვლად სამღვდ. პავლე როდესაც იგი მობრძანებულიყო სასწავლებელში და, როგორც მზრუნველი მამა, ყველაფერს დაწვრილებით ათვალიერებდა და სჩხრეკდა, რომ სადმე ნაკლულევანება არა ყოფილიყო რა და ბოვშებს ჰქონოდათ ყოველ მხრივ შემკული და მოწყობილი ბინა,—და სადაც კი რამე შენიშნა ჰიგიენური მოთხოვნილების წინააღმდეგი, უბრძანა დაუყოვნებლივ გაესწორებიათ.

ამ სახლის ასე იაფად შეძენაში დიდი ღვაწლი მიუძღვის დიდუბის ეკლესიის მღვდელს მამა ბესარიონ ზედგინიძეს. სასწავლებელის მმართვაში ჯეროვან ზრუნვას და მონაწილეობას იჩენენ, როგორც წევრნი ამა სასწავლებლისა, მ. დეკ. ე. მღიევი და მღვდელი მღებრიევი.

სასწავლებლის უფროსს ქალბატონს ნ. ტროფიმოვისას დიდი დედობრივი სიყვარული და შეთვისება მოუპოვებია მოწაფეებისგან. ჩვენ თვითონ ვიყავით მოწამე ესრეთი დედა-შვილური ქცევისა ამ უფროსისა და მის მოწაფეთა შორის და ღმერთსა ვსთხოვთ, რომ ამ მშვენიერ პედაგოგიურ გზას სასწავლელი სამუდამოდ სდგომოდეს. უფრო დაწვრილებით ცნობებს, საკუთრად სწავლის და სხვა წესების შესახებ ამ სასწავლებელში, ჩვენ შევატყობინებთ ჩვენ მკითხველებს შემდეგში.

## მოგზაურობა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, არქიეპისკოპოსის პავლესი; საქართ. ექსარხოსისა თბილისიდამ ბიჭვინტამდი და ძველი ბიჭვინტის სობოროს კურთხევა.

ძველი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის წინამძღვრის თხოვნით მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა, საქართველოს ექსარხოსი, არხიეპისკოპოსი პავლე იყო მიპატიჟებული ბიჭვინტის ახლად განახლებული სობოროს საკურთხად. დიდი ხნიდამ მსურდა იმ ადგილების დათვალიერება, სადაც ექსარხოსს შეხვდებოდა მოგზაურობა. ვისარგებლე ამ შემთხვევით და ვეახელი თან ექსარხოსს. ამ მოგზაურობამ მეტის-მეტი კაი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე და გვსურს, რომ თქვენც გაგიზიაროთ, მკითხველო, ჩვენი შთაბეჭდილება. იმედია, არ მოგწყინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება კითხვა ამ მოგზაურობის აღწერისა, თუ თქვენში არის სიყვარული ჩვენი ძველი ნაშთებისა და მათზე მოთხრობაებისა.

ლა-ს აგვისტოს, სამ საათზე, გაემგზავრა ბათუმისკენ საგამგებო პოეზდით მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა ბიჭვინტის განახლებულის ეკკლესიის საკურთხად. ამ ეკკლესიის კურთხევაზე მიწვეული იყო ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი გაბრიელიც, მაგრამ ავათმყოფობისაგამო, ველარ დაესწრო ამ ეკკლესიის კურთხევას.

ლა-ს აგვისტოს, ნაშუადღევის ექვს საათზე, მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა რკინის გზით მიბრძანდა ბათუმში. აქ მას მიეგება ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სხვა მოსამსახურე პირებით და ბათუმის საზოგადოება. მისი მაღალ ყოვლ. უსამღვდელოესობა ვოკზალიდან პირ-და-პირ ბათუმის მართლმადიდებელ ეკკლესიაში წაბრძანდა, სადაც მას მიეგება ეკკლესიის კრებული. შემდეგ ჩვეულებრივი ლოცვის შესრულებისა და მრავალ-ჟამიერობითი მათ დიდებულებათა, მემკვიდრის და სხვათა მოხსენებისა, მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც აუხსნა რა მამენელთა მნიშვნელობა განაპირე პირველ ადგილისა, დამოჟნისა და ბოლოზისა, ძლიერ გასაგონი სიტყვებით შთააგონა მათ, თუ როგორ უნდა ეცადონ ყველანი ამისთანა ადგილზე დაიკავონ თავი ისე, როგორც შეფერის მამულის ერთგულს და ჭეშმარიტს შვილს, რომ სხვა უცხო ხალხის თვალში თავის ქცევით და მოქმედებით შეადგენინონ კეთილი აზრი სხვა შინაურ მოსამსახურეებზედაც. «აქ მართებლობისაგან, ბრძანა მქადაგებელმან, არის დაწესებული დამოჟნა; აქ ყველა ნივთი უნდა იქმნეს განხილული და არ უნდა გაუშვან ისე, რომ დაწესებული ბაჟი სახელმწიფოის სასარგებლოდ არ აიღონ. აგრეთვე ყურადღება უნდა გვქონდეს მიქცეული გონებით ნაწარმოებზედაც, რომელიც უცხო ქვეყნიდამ შემოვა ამ გზით. არა ნაკლები ყურადღება უნდა გვქონდეს მიქცეული ამაზედაც ამისთვის, რომ ხშირად ძლიერ მავნე სწავლაც შემოდის აქედამ, რომელსაც უნდა უფრთხილდებოდეთ და დიდ ყურადღებას ვაქცევდეთ. აქ არის მშვენიერი ბოლოზი. როდესაც ზღვაში არის საშინელი ღელვა, ყველა ხოლმადები მიაშურებენ ბოლოზ ადგილს, რომ იქ შეიფარონ თავი და გადარჩნენ დაღუპვას. თვითეულს ჩვენგანს უნდა ახსოვდეს ჩვენი სულის ნავთ-სადგური, სასუფეველი ღვთისა სადაც ჩვენი სული განისვენებს ამ ქვეყნის შფოთისა და ღელვისაგან. ეს ნივთიერი ბოლოზი ნიადაგ უნდა მოგვაგონებდეს ჩვენ, ძმანო, სასუფეველსა ღვთისასა, ჭეშმარიტსა განსასვენებელსა სულისა ჩვენისასა». შემდეგ მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ დაათვალიერა ეკკლესია და ეკკლესიიდამ წაბრძანდა ზღვის ხოლმანდით «მიხაილზე» სოხუმისკენ.

1 სეკტემბერს, დილის 7 საათზე პარახოდმა მიგვიყვანა სოხუმში. პარახოდიდამ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა გადმობრძანდა და პირ-და-პირ სოხუმის ეკკლესიაში წაბრძანდა, სადაც მასს ეკკლესიაზე დახვდა კრებული და საზოგადოება. შემდეგ ჩვეულებრივი ლოცვის შესრულებისა უმფროსმა ბლაღოჩინმა დეკანოზმა მ. დ. მაჭავარიანმა მაღალ ყოვლად სამღვდელოს უთხრა შესხმა, რომელშიაც გამოთქვა იმედი, რომ მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა მსგავსათ მისი წინამოადგილეებისა ყურადღებას მიაქცევს მრავალ-გზით მტრისაგან დაქცეულს და დატანჯულს აფხაზეთის კუთხეს. ამაზე მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ ბრძანა, რომ თუმცა აფხაზეთის კუთხეს ბევრი ჭირი გამოუცდია მტერთაგან, მაგრამ იმედი არის, რომ რუსის იმპერატორის ხელში ეს მხარე აღდგინდება და დაცემული სარწმუნოება შემდეგისათვის გამტკიცდება. ეკკლესიიდგან მაღალ ყოვლად სამღვდელო დაბრუნდა და შებრძანდა ხოლმადში.

დღეს-დღეობით სოხუმი შენობებით არაფერ სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს. თვითონ ეკკლესია, რომლის ასაშენებლად ფულები ბლომათ დაუხარჯავთ, ძლიერ პატარა არის. ბევრ რამე სამწუხაროს გაიგონებთ აქ ბ. ძ—გან სუხუმის მიტოვების და ჯარების გამოყვანის შესახებ, მაგრამ სჯობს არ იცოდეს კაცმა ეს ამბავები... სოხუმიდამ რვა საათზე გავედით პარახოდით და გავემგზავრეთ ახალი ათონის სიმონ ქანანელის მონასტრისაკენ.

ხწორეთ ათი საათი იყო დილისა, როდესაც ხოლმანდმა გასაჩერებელი რკინები გადუშვა ზღვაში. ზღვის ნაპირიდამ მოფრიალდნენ რამდენიმე ფილუკები, რომელებმაც ყველა სტუმრები გაიყვანეს ხმელეთზე. ზღვის პირზე მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას მიეგებენ მონასტრის ბერები მგალობლებითურთ, მორჩილები და მრავალი ხალხი-მლოცველები და ადგილობრივი მცხოვრებლები.

ზღვის პირიდამ მონასტრის ეკკლესიამდი გზა მოფენილი იყო ყვავილებით. მგალობლები მღვდელმთავარს გალობით მიუძღვნენ ეკკლესიამდის. მღვდელმთავარი პირ-და-პირ ეკკლესიაში შებრძანდა და ჩვეულებრივი ლოცვის შესრულების შემდეგ წირვა

დაიწყო. ეკკლესია მშვენიერად მორთულია და ყოველს კაცს გრძნობაში მოიყვანს სალოცავათ. წირვის გათავებისას მღვდელთ-მთავარი გამობრძანდა და დასდგა ამბიონზე. დაიწყო ქადაგება. ქადაგების თემად აიღო დღის წაკითხული სახარებიდამ იგავი ტალანტზე. ჩვეულებრივი ორატორული მჭევრ-მეტყველებით შთააგონა საზოგადოებას, თუ როგორ უნდა ვცდილობდეთ, რომ ღმთისაგან მოცემული ნიჭი მოვიხმაროთ და ნაყოფი მოვიტანოთ; როგორ უნდა ვეცადოთ, რომ არ მივემსგავსოთ იმ მონას, რომელმანც მიიღო ერთი ქანქარი და მიწაში დამარხა იგი. მქადაგებელმა ჩვენსავე ცხოვრებაში უჩვენა ბოროტი მონები, რომელნიც, სამწუხაროდ, თავიანთ ნიჭს მარხვენ მიწაში, ანუ თავიანთ მდიდარ ნიჭს ხმარობენ არა საკეთილოდ, არამედ ბოროტად და შესაცდენად მოყვასთა თვისთა. აუხსნა მსმენელთა, თუ ვითარ სასჯელს მიეცემიან ამისთანა პირები და გააფრთხილა ყველანი, რათა აერიდონ მათ ხვედრსა. წირვის გათავების შემდეგ მღვდელთ-მთავარი წაბრძანდა მონასტრის ერთ სადგომში დასაბინავებლად.

ახლა მიბოძეთ ნება მკითხველო შეგატყობინოთ თქვენ ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრის დაარსების და მისი შინაური ცხოვრების ისტორია, შეგატყობინოთ აგრეთვე გასაოცარი მოღვაწეობა, შრომა და მოქმედება ამ მონასტრის ბერთა და მორჩილთა და მათი წესდება.

ათი წლის წინათ ძველი ათონის პანტელეიმონის მონასტრის ბერები მიიქცენ თხოვნით უმაღლესი მართებლობისადმი და ითხოვეს სამონასტრო ადგილი აფხაზეთის მხარეში ქრისტეს სწავლის აღსადგენელად და გასავრცელებლად აფხაზთა შორის. 1876 წელში უმაღლესად ნება-დართვით მოვიდა მცირე რიცხვი ძველი ათონის ბერთა და გამოირჩია მშვენიერი ადგილი მონასტრის დასაარსებლად აღმოსავლეთის მხრისკენ, ქალაქ სოხუმიდამ, ოც ვერსტზე პირ-და-პირ ზღვის პირათ, სადაც დღესაც არის მოციქული სიმონ კანანელის ძველი ეკკლესია. აქ დაბინავდა ეს მცირე რიცხვი ბერებისა და დაარსა მონასტერი, რომელსაც ეწოდება **ახალი ათონის მოციქულის სიმონ კანანელის მონასტერი.**

ეს მონასტერი არის აფხაზეთის მთის ფერდოებზე, ზედ შავი ზღვის პირათ. აქ ჯერეთ ბევრი შენობები არ არიან, მაგრამ რაც შენობა და სადგომები არიან, მშვენიერი სანახავია ზღვიდამ. ზღვის პირს და ხმელეთს ჰყოფს ანკარა მშვენიერი პსირსტის წყალი, რომელიც მონასტერს ჩამოუდის გვერდით. ამ წყალზე არის გაკეთებული ხიდი. გამოივლი თუ არა ამ ხიდს, მიადგები დიდს ალაყაფის კარებს, რომელიც შეგიყვანს მონასტრის ეზოში და ეკკლესიაში. მშვენიერ სანახავ ადგილს წარმოადგენს მონასტრის და მისი ახლო-მახლო მდებარე ადგილები. ეხლა კარგა ბლომათ არის აქ შენობები, რომელნიც გიმტკიცებენ, რომ იგინი აშენებულან მცოდნე პირებისაგან. შენობებს შუა, ზღვის პირას, არის ერთი ძველი დიდი კოშკი, რომელიც, როგორც სჩანს, ძველ დროში ციხის მაგიერი ყოფილა. დღეს ამ შენობაში არიან მოწყობილნი მშვენიერი სადგომები დიდი პირების მისაღებათ. ამ კოშკზე ამართულია ბაირაღი, რომელზედაც ჯვარია გამოსახული. ეს კოშკი ისე ახლოს არის ზღვაზე, რომ, როგორც ამბობენ, დიდი ღელვის დროს ზღვის ზვირთები უწევენ ხოლმე ძირამდიო.

(გაგრძელება იქნება).

## უ. გუბერნატორის სვანეთში მობრძანებისა გამო.

ვინ არ იცის, რომ სვანეთისთანა მიუვალი და მიგდებული ადგილი მთელს საქართველოში არ მოიპოვება. ეს არის მიზეზი, რომ აგერ თხუთმეტი წელიწადია, რაც ადგილობითი გუბერნატორები სვანეთში არ მობრძანებულან. წარსულს წელში მოველოდით უ. გუბერნატორს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ ვეღირსეთ მათ მობრძანებას. წრეულს კი, მარიამობის თვეში, შემობრძანდა სვანეთში ბ. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი სმეკალოვი, რომლის მობრძანებამ გაამხნევა და სიხარულით აავსო სვანეთის საზოგადოება. წინდა-წინ ბრძანება მოვიდა სვანეთში, რომ უ. გუბერნატორი მობრძანდებაო, მაგრამ დანიშნულს ვადაზედ ვერ მობრძანდა. ყველას ეგონა, რომ წელსაც ვერ ვეღირსებოდით გუბერნატორის ხილვას; მაგრამ 6 აგვისტოს მთელი ჩინოვნიკობა წავიდა გუბერნატორის შესაგებებლად. ამ დღეს გუბერნატორი მობრძანდა სოფელ ფალასში. აქედამ 7 აგვ. მიბრძანდა სოფ. უშგულში, რომელიც წელს სეტყვისაგან ძალიან დაზიანდა. შეწუხებული სოფლელები ძალიან გაამხნევა ბ. გუბერნატორმა, რომელმაც უშგულის საზოგადოებას თავისი საკუთარი ჯიბიდგან აჩუქა 400 მან. და მასთან აღუთქვა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგადოებას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობასთან, რათა მთავრობამ ხაზინიდამ თვითეულს სულს ათ-ათი მან. მისცეს. თვით უ. გუბერნატორის გულუხვობამ და ამისთანა მისმა დაპირებამ დააიმედა ამ საზოგადოების მცხოვრებნი, თორემ მათ გარდაწყვეტილი ჰქონდათ სხვაგან სადმე გადასახლება.

9 აგვისტოს უ. გუბერნატორი მობრძანდა სოფ. მესტიაში. ამ სოფელში სკოლა აქვს გამართული ადგილობითი მღვდელს მ. ა. ჟურციკიძეს. სკოლაში სწავლობენ 25 ყმაწვილამდე ორსავე სქესისა. უ. გუბერნატორმა გაიგო თუ არა, რომ ამ სოფელში სკოლა არისო, მაშინვე სკოლისკენ გასწია. სკოლაში დახვდა მას ყმაწვილები, რომელნიც თვითონ გამოცადა და ძალიან კმაყოფილი დარჩა. ორ მოწაფეს: ერთ აზნაურთაგანს და ერთ გლეხისას აღუთქვა, რომ მათ სახელმწიფო ხარჯზე მიაღებიებს მთავრობას. ამ დღეს ამავე სკოლის მასწავლებელთან ისადილა უ. გუბერნატორმა თავის მხლებლებით: სადამოზე უ. გუბერნატორი ჩაბრძანდა ბეჩოში, სადაც არის სადგური სვანეთის პრისტავისა. აქ დიდი საზოგადოება დახვდა უ. გუბერნატორს და შეჩივლეს მას სხვა-და-სხვა უწესოებაზე და უსამართლოებაზე. გუბერნატორმა აღუთქვა საზოგადოებას, რომ ყოველივე უსამართლობას და უწესოებას ის ბოლოს მოუღებს. ამასთან გუბერნატორი დაჰპირდა საზოგადოებას, რომ ის იმეცადინებს, რათა თვით სვანეთში დაწესდეს ადგილობითი სამსაჯულო, იქმნეს დაარსებული სასწავლებელი და მასთან დაჰპირდა საზოგადოებას, რომ გზებიც იქნებიან გაკეთებულნი.

მთელი საზოგადოება აღტაცებაშია გუბერნატორის მობრძანებით და დაიმედებულებიც არიან, რომ ყოველივე აღთქმული შეუსრულდებათ მათ.

---

## ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მოგზაურობა რაჭის მაზრაში.

ამა წლის ივლისის და აგვისტოს თვეებში იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი ბრძანდებოდა რაჭაში. ყოვლად სამღვდელოს მოგზაურობას ორ-გვარი მიზანი ჰქონდა: სწავლება და დარიგება სამწყსოისა და ეკლესიების განხილვა; პირველს ასრულებდა თვითონ ყოვლად სამღვდელო და მეორის აღსრულება ჰქონდა მისგან მინდობილი ქუთაისის კათედრის სობოროს მთავარ-დიაკონს იოანნე ქახაძეს. მიუახლოვდებოდა ყოვლად სამღვდელო რომელიმე ეკლესიას თუ არა, მაშინვე შეიქნებოდა ზარის რეკა. ზარის რეკაზე ხალხი იკრიბებოდა ეკლესიაში თავისი ძვირფასი მღვდელთ-მთავრის და მქადაგებლის სანახავად და მისი ქადაგების მოსასმენად. ერთი სიტყვით თითქმის ყველა ეკლესია მწყემსთ-მთავარს ხალხით სავსე ხვდებოდა. ეკლესიის კარებთან ყოვლად სამღვდელოს ეგებებოდა შემოსილი მღვდელი ჯვრით და აიაზმის წყლით; მღვდელი წარმოსთქვამდა მოკლე ქვერექს და მრავალ-ჟამიერობას. შემდეგ ამისა ყოვლად სამღვდელო შებრძანდებოდა ეკლესიაში, განიხილავდა ტრაპეზის ნივთებს, შემდეგ ან თვით ეკლესიაში, ან ეკლესიის გალავანში პატარა ყმაწვილებს ლოცვებს ათქმევინებდა, პირჯვრის წერას ასწავლიდა და მოკლედ ლოცვებს უხსნიდა. როცა ამას გაათავებდა, მერე მიიქცეოდა ხალხისადმი თავის მჭევრ-მეტყველური სიტყვით. ყოველი მისი სიტყვის შინაარსი იყო ამოღებული ან დღის სახარების, ან სამოციქულოისაგან. ქადაგების გათავების შემდეგ ხალხი მიიღებდა მისგან ლოცვა-კურთხევას და შინისკენ მიდიოდა. სანამ დაღლილი მქადაგებელი დაისვენებდა, ეკლესიის განხილვაც თავდებოდა. რევიზორი იხილავდა ეკლესიის საბუთებს, შესავალ-გასავლის წიგნებს და ფულებს და, თუ რაიმე ნაკლულევანება აღმოჩნდებოდა, ინიშნავდა ცალკე ქაღალდზე.

ამ წესით სრულდებოდა ყველა ეკლესიაზე ქადაგებაც და ეკლესიის განხილვაც. თუ რომელიმე ეკლესიაზე ყოვლად სამღვდელოს ხალხი არ ხვდებოდა, მის სახეზედ იხატებოდენ მწუხარება და უსიამოვნება. მაგრამ ამგვარი შემთხვევა, საბედნიეროდ, ძალიან იშვიათი იყო. 14 აგვისტოს მისმა მეუფებამ თავის კრებულით და ადგილობითი ბლაღოჩინით შეასრულა მწუხრი და ცისკარი ადგილობით ეკლესიაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ეკლესიაში ორი-სამი კაცის და ხუთიოდე ქალის მეტი არ დასწრებია. სამწუხარო იყო ეს ყოვლად სამღვდელოსათვის, მაგრამ ამის მიზეზი მალე აიხსნა. თურმე ამ სოფელში ყვავილი იყო და მისი შიშით ხალხი ეკლესიაზე არ მოვიდა. 15 აგვისტოს კი არამც თუ ამ სოფლის ხალხი, არამედ სხვა მახლობელ სოფლებიდამაც ბევრი ხალხი მოვიდა ეკლესიაზე, რა კი გაიგეს, რომ ყოვლად სამღვდელო იყო მწირველი ამ დღეს მიქას წმიდის ეკლესიაში.

როგორღაც უჩვეულოდ ეგებებოდა ყოვლად სამღვდელოს ხალხი. ხალხი მწუხარეც იყო და მხიარულიც. რისთვის მოხდა ეს, მკითხველო, იცი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველას მოედო ის ამბავი, რომ ჩვენი ძვირფასი მღვდელთ-მთავარი, ჩვენი დამრიგებელი, ჩვენი თავდადებით მოყვარული მამა დატოვებას უპირებს თავის სამწყსოსა, თხოულობს რუსეთში მომეცით ადგილიო. ამის გამგონე ყველა ნატრობდა უკანასკნელად მიეღო მისგან ლოცვა-კურთხევა. გაცხარებული მუშაობა იყო რაჭაში ყოვლად სამღვდელოს მობრძანების დროს, მაგრამ ეს მუშაობა ვერ აბრკოლებდა ხალხს, რომ ყოვლად სამღვდელოსაგან ლოცვა-კურთხევა მიეღო და მისი დარიგება მოესმინა. ვინც კი რომელიმე მიზეზისა გამო ვერ გახდა ღირსი ეპისკოპოსის ნახვისა, დიდად სწუხდა. როცა პირველად შემობრძანდა ყოვლად სამღვდელო რაჭაში, გაცხარებული მკა იყო; ხალხი მინდვრათ იყო გამოსული. როცა მუშები ყოვლად სამღვდელოს დაინახავდნენ გზაზე მიმავალს, შეჩერდებოდნენ და, ქუდ მოხდილნი, იდგნენ, „სანამ ყოვლად სამღვდელო არ გაშორდებოდა მათ.

ეი ამგვარი სასოება და სიყვარული აქვს ჩვენს ხალხს ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა; ხალხი პატივსცემდა უწინდელ მღვდელთ-მთავრებსაც, მაგრამ ეხლანდელი მღვდელთ-მთავრისადმი პატივისცემა კი გარდამეტებულია; მართალია, ჩვენი ხალხი უსწავლელი და გაუნათლებელია, მაგრამ მასაც კი შეუძლია კაცის და მისი კეთილი მოქმედების დაფასება. ჩვენი ყოვლად სამღვდელო გარდა შესანიშნავის თვისის ქადაგებისა სხვაფრივაც აგრძნობინებს კაცს სიყვარულს: წარმოიდგინეთ, თუ რა უსიამოვნებას გამოსცდის ხოლმე ყოვლად სამღვდელო თავის კრებულით სოფლებში? მოგზაურობის დროს ყოვლად სამღვდელო მოკლებულია შესაფერს ქვეშსაგებელს, ბინას და ხეირიან სასმელ-საჭმელს. ყოვლად სამღვდელოც და მისი კრებულიც მოგზაურობის დროს დიდ უსიამოვნებას ითმენს, მაგრამ ის მაინც ყველას კმაყოფილია. ერთი სიტყვით ჩვენი ყოვლად სამღვდელოს მოგზაურობა ძალიან განსხვავებულია უწინდელი მღვდელთ-მთავრების და მათი კრებულის მოგზაურობისაგან. დღესაც ბევრს ახსოვს, თუ რა შეწუხებული იყო ხალხი უწინდელი მღვდელთ-მთავრების კრებულთაგან. ესეც არის ერთის მხრით მიზეზი იმ დიდი პატივისცემისა და სიყვარულისა, რომელიც სამღვდელოებას და ხალხს აქვსთ ჩვენი მღვდელთ-მთავრისა.

დამსწრე.

---

## ლ ე ჩ ხ უ მ ი დ ა მ.

ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებელნი ღარიბნი ხალხნი არიან. ამათ სიღარიბის ერთ-ერთ მიზეზად არ შეგვიძლია არ ჩავთვალოთ მათგან სხვა-და-სხვა უბრალო ჩვეულებათ ასრულება. ამ ჩვეულებების შესასრულებლად ლეჩხუმელები ბევრ უბრალო ხარჯს ეწევიან. აქაურებში მეტად გავრცელებულია მთებში და დიდ ტყეებში სალოცავად სიარული და მოლოცვა. ამისთანა მოლოცვა სრულდება აღდგომის მეორე დღეს, რომელსაც გორგოთობას ეძახიან, შვიდ მაისს, რომელსაც კოხის-ჯვრობას ეძახიან და თომას კვირიაკის წინა დღეს, შაბათს, რომელსაც ხალხი ელიობას ეტყვის და სხვ... ამ დღეებში ხალხი მღვდლებს აწირვინებს; წირვის შემდეგ ხალხი ტყეებში მიდის სალოცავად. ამისთანა სამლოცველო ადგილებში კაცი ხშირად ხედავს ხის და რკინის ჯვრებს, რომელნიც უპატრონოდ არიან მიგდებულნი ხეების და კლდეების ძირშიდ. ამისთანა ადგილებში ზოგან ნაეკკლესიები არიან და ზოგან უბრალო დიდი ხე აქვსთ ამორჩეული სალოცავად. ამისთანა სამლოცველოებს ხალხი სამჯერ გარშემოუვლის და მოილოცავს იმ რიგით, რა რიგითაც მათი წინაპარნი ასრულებდნენ; აქ ხალხი ღმერთს ევედრება, რომ კარგი მოსავალი მოსცეს მას და კოხმა მამულები არ წაუხდინოს. წინეთ ეს ჩვეულება საყურადღებო სურათს წარმოუდგენდა მნახველს: ამ გვარ სამლოცველოებს მღვდლები და ერი წირვის შემდეგ სამჯერ გარს შემოუვლიდნენ შემდეგის წესით: წინ მებუკე მიდიოდა და ბუკს მოწიწებით დიდ-ხმაზედ აყვირებდა, მას შემოსილი მღვდლები მიჰყვებოდნენ და ხალხს სალოცავებს ავედრებდნენ. მღვდლებს ექვსი კაცი მიჰყვებოდა უკან და დიდის ხმით გალობდნენ: კჳრიალეჱ შეგჳწყალენ ჴოო. მათ მიყვებოდა უკან ხალხი გულ-ხელ დაკრეფილი და თავ-მოხდილი დიდის ამბით და ლოცვა-ვედრებით უვლიდნენ სალოცავებს და დაჩოქილები ევედრებოდნენ წმიდა დიდ ილიას. ამასთან ბევრს ალაგას იცოდნენ, რომ, როცა ლოცვის შემდეგ უკან ბრუნდებოდა ხალხი, გზაზე რომელიმე დიდ ხეს ირჩევდა, მას რკინითან დანით გარს შემოუფარგლიდა და მერე მასზედ მიასობდა რკინას ანუ დანას, რომ სეტყვა ამას ქვევით არ ჩამოვიდეს სოფლადო. ზოგან ხალხი ეკკლესიებსაც უვლიდა გარს ამ დღეებში. მღვდლები ხალხის თხოვნით პარაკლისებსაც იხდიდნენ სალოცავებზედ. ხალხს ამ სამლოცველოებზე

[stamp]

მიჰქონდა და დღესაც მიაქვს საკმეველი, ფული, ღვინო და მიჰყავთ დასაკლავად თხები და სწირავენ სამლოცველოებს წმიდა ილიას სახელობაზედ. ტაბლებს, ღვინოს და საკლავებს მღვდლები და სოფლელები ხმარობდნენ; სანთელი, საკმეველი და ფული კი იქვე რჩებოდა და უბრალოდ ხდებოდა და იკარგებოდა. შემოსილი მღვდლები დასხდებოდნენ ერთ მათთვის მიჩენილს ადგილს, ხელში ეჭირათ დანები, როცა ტაბლებს მიუტანდნენ მათ, მიმტანს დააჩოქებდნენ და მას თავზე შემოავლებდნენ, მერე ტაბლის მესამედს მოჰრიდნენ თავისთვის და დანარჩენს ტაბლას მომტანს უბრუნებდნენ. ამის შემდეგ ყველანი ისადილებდნენ და სადილის შემდეგ ხელ-მეორედ გარს უვლიდნენ ამ სამლოცველოებს. სადაც ბუკი არა ჰქონდათ, მის მაგიერ ხმარობდნენ უბრალო ფიცარს, რომელზედაც ურაკუნებდნენ ჯოხს.

ლეჩხუმში ბევრგან ეს წესები დღესაც უწინდულად სრულდება, მაგრამ ბევრგან კი სხვა ნაირად შეიცვალენ. ამ უბრალო ჩვეულებამ იკლო უმაღლესი მმართებლობის განკარგულების შემდეგ, რომელმაც აღუკრძალა ხალხს ამ ჩვეულების აღსრულება; ამ განკარგულების შემდეგ მღვდლები აღარ მიჰყვებიან ხალხს სამლოცველოებზე, მაგრამ ხალხი მაინც არ იშლის თავის ჩვეულებას და ბევრს უბრალო ხარჯს ეწევა.

იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სამღვდელოება თავის სწავლა-მოძღვრებით იმოქმედებს ხალხზე და გააგებინებს მას, რომ ამისთანა ჩვეულების აღსრულება წინააღმდეგია ქრისტეს სარწმუნოებისა და მასთან თვით ხალხსაც უბრალოდ აღარიბებს.

მღვ. ნიკოლოზ ფრუიძე.

## ფ შ ა ვ ი დ ა მ.

როგორც ძველათ, აგრეთვე ეხლაც ფშაველნი, ხევსურნი და თუშები თავიანთი ვაჟ-კაცობით და მხნეობით განთქმულნი არიან. მათი ვაჟკაცობა და მხნეობა ყოფილა მიზეზი, რომ ეს ხალხი ძლიერ უყვარდათ ქართველ მეფეებს და მეტად წყალობდნენ მას. რომ ეს ხალხი ჰყვარებიათ ჩვენს მეფეებს და ხალხსაც მეფეები, ეს იქიდამაც მტკიცდება, რომ ეხლაც ბევრ პირთ შეხვდებით ფშავ-ხევსურეთში, რომელნიც დაწვრილებით მოგითხრობენ ამბებს თამარზე, დავით აღმაშენებელზე, ლაშაზე და ერეკლეზე. აქ ნახავთ ბევრს იმისთანა მოხუცთ, რომელნიც დალაგებით მოგითხრობენ ერეკლე მეფეზე და მის სტუმრობაზე. ერთი სიტყვით აქ პოეტის სიტყვები: «აქა დავითი და თამარი სულს კიდევა სწამს», მართლდება და გაგონდებათ. ბევრს შეხვდებით აქ ისეთ პირებს, რომელთაც იციან ბევრი ამბები და ზოგიერთი ლექსებიც რუსთაველის უკვდავი «ვეფხვის-ტყაოსნიდამ».

აქაური ხალხის ლაპარაკის კილო და სიტყვების უცვლელობა ცხადათ მოგაგონებსთ «ვისრამიანის» და მოსე ხონელის «ამირან და დარეჯანის წიგნების ენას. მათი ტანსაცმელიც და სახელებიც ნამდვილად ემსგავსებიან იმ გმირთა ტან-საცმელებს და სახელებს, რომელნიც მოხსენებულნი არიან ზემოდ აღნიშნულ წიგნებში. აქ ეხლა ქალები თინათინის და ნესტარ დარეჯნისებურად ჯუბას იცვამენ.

რა კი სიტყვა ქალებზე ჩამოვარდა, აქ შევეხებით ფშავთა ქალების ცხოვრებას. არა მგონი, რომ რომელიმე საქართველოს კუთხეში ქალები ისე ერთგულათ და თავ-გამოდებით მუშაობდნენ და ეხმარებოდნენ თავიანთ ოჯახობას, როგორც აქ. ერთის სიტყვით აქაური ქალები კაცებს არც ფიზიკურად და არც გონებრივი გახსნილობით არ ჩამოუვარდებიან. აქაურ ქალებს ყველა ნაირი მუშაობა ეხმარჯვებათ.—რაც შეეხება ზნეობას, ეს აქაურ ქალებში ძალიან დაცულია. ღმერთმა ნუ ჰქნას, რომ აქ რამე ცუდი ჩაიდინოს ქალმა: იმას მაშინვე დაქოლავენ და ხშირად ცოცხალსაც არ გაუშვებენ.

აქაური ბუნება ძალიან მოსავლიანი ყოფილა. კარგად მოდის: პური, ქერი, ფეტვი და სიმინდი. ხეხილი ტყესავით არის. შესანიშნავია აქაური ვაშლი და მსხალი. ზირისკი ხომ ძალიან ძვირია ქალაქში აქ კი ტყეებია ამით სავსე. უნდა ვსთქვათ, რომ აქაური ბუნება ხელს უწყობს ხალხს, მაგრამ მას ვერ მოუხერხებია სარგებლობა, რადგან გონებით გაუნათლებელი არის და მამა-პაპეულ ჩვეულებათ არ სტოვებს.

საქონლის მოვლა და მოშენება ფშავ-ხევსურეთში ძალიან გავრცელებულია: ძვირად ნახავთ აქ კაცს, რომ რამდენიმე სული ცხვარი, თხა, ძროხა და ხარი არა ჰყავდეს. ამ მხრით ეს ხალხი როგორც ძველათ, ისე ეხლაც განთქმულია ამით. აქაური ნაწარმოები ყველი და ერბო მთელს თუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისს ჰყოფნის. რაც შეეხება ამ ნაწარმოების სიკარგეს, უნდა გითხრათ, რომ აქაური ყველი და ერბო სხვა მხარეების ერბოს და ყველს სჯობია და მასთან იაფათაც იყიდება.

წრეულს ძალიან დიდი ზარალი მისცემია აქაურებს საქონლის ჭირისაგან, რომელსაც გაუწყვეტია მრავალი ძროხა და ხარი. გლეხი არ არის, რომ რამდენიმე ძროხა და ხარი არ მოკვდომოდეს. ჭირიანი საქონელი ღელეებში და დიდ დაბურულ ტყეებში უყრიათ და ალაგ ამიტომ დღესაც ისეთი მყრალი სუნი სდგას, რომ კაცს გავლა გაუჭირდება. კაცი არ გამოჩენილა, რომ მათთვის ერჩია ჭირიანი საქონლის მიწაში დამარხვა. კარგი იქნებოდა, რომ ეხლა მაინც მიაქცევდნენ ამას ყურადღებას; თორემ შესაძლოა, საქონლის სენი კაცის სენად გადაიქცეს და მერე ეს სენი მთელს საქართველოს მოედოს.

რაც შეეხება ხალხის განათლების საქმეს, უნდა ვსთქვათ, რომ ეს უკანასკნელი არაფერ სანატრელ მდგომარეობაში არ არის. სოფელს ჩარგალში ამ რამდენიმე წლის წინათ ყოფილა სკოლა, მაგრამ ეხლა ის დაკეტილია. სკოლის სახლი მშვენიერ ადგილს არის გაკეთებული და მშვენიერადაც ყოფილა მოწყობილი, მაგრამ ეხლა კი ძალიან ცუდს მდგომარეობაშია: ალაგ სახურავი ჩამოწოლილა და ყმაწვილების დასაჯდომ სკამებს აწევს თავზე და ამ უკანასკნელებისთვის დიდი ზარალი მიუცია. კაცი რომ ნახავს ამ დახურულ სკოლის შენობას და მასთან წარმოიდგენს აქაური ხალხის გაუნათლებლობას, მეტად შესწუხდება. ეს დაკეტილი სკოლა დაარსებული ყოფილა «კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან», მაგრამ დღეს ამავე საზოგადოებას ეს სკოლა შეუძლებლობისა გამო დაუკეტავს. ხალხს ძალიან სურს, რომ სკოლა გახსნან და იმედიც აქვსთ, რომ ზემოხსენებული საზოგადოება ეცდება, რომ ეს დაქცეული სკოლის შენობა შეაკეთოს და ისევ სწავლა გაჩაღოს შიგ. ამ სკოლის გახსნას მეცადინობს ადგილობითი მღვდელი მ. რაზიკაშვილი, რომელსაც ბევრი უშუამდგომლებია უმაღლეს მთავრობასთან და დღესაც მეცადინობს ამ საქმის შესახებ. იმედია, რომ, თუ ზემო აღნიშნულმა საზოგადოებამ არ იდვა თავზე ამ სკოლის შენახვა, მაშინ მ. რაზიკაშვილი სამრევლო სკოლად მაინც გადააკეთებს ამ შენობას. ასეთსავე სამწუხარო მდგომარეობაში არიან სხვა სკოლებიც ფშავ-ხევსურეთში. ასე რომ არც ერთ საქართველოს კუთხეში ისე ცოტა სკოლები არ არიან, როგორც აქ; როდესაც ამისთანა მივარდნილს და მივიწყებულს მხარეში უფრო ბევრი სკოლები უნდა იყოს.

თბილელი.

---

## რით სცხოვრებს კაცი.

მოთხრობა გრაფი ლ. ტოლსტოისა (რუსულიდგან).

(დასასრული).

### X თავი.

ჩავიდა დედა-კაცი პატარა ქალებიანა. ადგა მიხეილიც, სამუშევარი შეინახა, აიხადა წინ აფარებული ტილო, თავი დაუკრა მასპინძელს ცოლიანათ და ეუბნება:

— მაპატიეთ, მასპინძლებო. მე ღმერთმა მაპატივა და თქვენც მაპატიეთ. მასპინძლები ხედავენ, რომ მიხეილიდგან რაღაც ბრწყინვალება გამოდის. ადგა სიმონი, თაყვანი სცა მიხეილს და უთხრა: ვხედავ მე, მიხეილ, რომ შენ უბრალო კაცი არა ხარ, ამისათვის არც შენი ვინაობა შემიძლია გკითხო და არც შენი დაჭერა შემიძლია მეტი. მიბრძანეთ მე მხოლოთ ერთი: რა მიზეზი იყო, რომ, როდესაც მე შენ გნახე და შინ მოგიყვანე, დანაღვლიანებული იყავი და როდესაც ჩემმა ცოლმა ვახშამი მოგიტანა შენ გაიღიმე და შემდეგ უფრო გამხიარულდი? შემდეგ. როდესაც ბატონმა ჩექმები მოგვაბარა, მაშინ გაიცინე მეორეთ და უფრო ბრწყინვალი გახდი კიდევ და მესამეთ, როდესაც დედა-კაცმა პატარა ქალები მოიყვანა, მაშინ გაიცინე და მთლათ გაბრწყინვალდი. მითხარი, მიხეილ, რისგან წარმოსდგების შენგან ასეთი ნათელი და ან რა მიზეზისათვის გაიცინე სამჯერ?

მიხეილმა უთხრა:

— ჩემზე ეს ნათელია, მისთვის რომ აქამდის მე ვიყავი ღმერთისაგან დასჯილი და ახლა კი მაპატივა. ზავიცინე სამჯერ მისთვის, რომ ჩემთვის საჭირო იყო გამეგო ღვთის სამი სიტყვა და კიდევაც გავიგე: ერთი სიტყვა მაშინ გავიგე, როდესაც შენ ცოლს შევცოდე და პირველათ მისთვის გავიღიმე. მეორე სიტყვა გავიგე, როდესაც მდიდარი ჩექმებს გვაბა-

რებდა შესაკრავათ და მეორეთ მაშინ გავიღიმე და მესამეთ, ახლა, როდესაც ამ ქალისაგან გავიგე მესამე სიტყვაც.

სიმონმა უთხრა:

— მითხარი, მიხეილ, რისთვის დაგსაჯა ასე ღმერთმა, და ან რა სიტყვებია ის, ღმერთმა რომ გითხრა, რომ მეც ვიცოდე.

მიხეილმა უთხრა:

— ღმერთმა დამსაჯა მისთვის, რომ არ გაუგონე მას. მე ცაში ანგელოზი ვიყავი, მაგრამ არ გაუგონე ღმერთს.

— ვიყავი მე ანგელოზი ცაში, გამომგზავნა უფალმა ერთი ქალის სულის მისაღებად! ჩამოვფრინდი დედა-მიწაზე. ვხედავ: წევს ერთი დედა-კაცი— ავათმყოფი, დაუბადნია ტყუპი ორი ქალიშვილი. ცოდვილობენ პატარა ქალები დედის გარშემო, მაგრამ დედას არ შეუძლია ისინი გულზედ მიიყდნოს. შემომხედა დედა-კაცმა და მიხვდა, რომ ღმერთმა გამომგზავნა მისი სულის ამოსართმევათ, დაიწყო ტირილი და მითხრა: «ანგელოზო ღვთისაო? ჩემი ქმარი ეს არის დამარხეს, ხემ მომიკლა. მე არა მყავს არც და, არც მამიდა და არც ბებია, არავინ არის, რომ ჩემი პატარა ქალები აღმიზარდოს, ნუ მიიღებთ ჩემ სულს, მაცალე ამათი აღზრდა მე თვითონვე, მათი საზრდოება და ფეხზე დაყენება. შვილები უდედ-მამოთ ვერ იცოცხლებენ.» მეც გაუგონე საწყალ დედას, მიუყვანე ერთი ქალი და გულზედ მივაკარ, მეორეც ხელში მივეცი და მე კი ზეცას ღმერთთან აღვიმართე. მივფრინდი ღმერთთან და ვეუბნები; «ვერ ამოვართვი სული მელოგინე დედაკაცს». მამა ხეს მოუკლავს, დედას ტყუპი ქალი შეძენია და გევედრებათ სულს ნუ წამართმევთო: ნება მომეცით ჩემი შვილები მევე აღვზარდო, ვარჩინო და ფეხზე დავაყენოვო. შვილები უდედ-მამოთ ვერ იცოცხლებენ. არ ამოვაძრე მელოგინე ქალს სული». ამბობს უფალი; «წადი და ამოაძვრე მელოგინე ქალს სული: და გაიგებ სამ სიტყვას: გაიგებ, თუ რა არის ხალხში და რა არა აქვს მიცემული ხალხს და ან რითი სცხოვრებს ის. როდესაც გაიგებ ამაებს—დაბრუნდები ისევ ზეცაში.» გამოვფრინდი ისევ დედა-მიწაზე და ამოვაძვრე მელოგინე ქალს სული.

მოშორდნენ ბავშები ძუძუს. გაიჭიმა კრაოტზე მკვდარი სხეული, მოჭეჭყა ერთი პატარა ქალი და ფეხი გაუბრუნდა. ავიწიე სოფლის ზევით, მინდოდა სული ღმერთისთვის მიმეტანა, მაგრამ შემომიბერა ქარმა, ჩამომცვივნდა ფრთები და სული მარტო წავიდა ღმერთთან და მე კი დავეცი მიწაზე გზასთან.

## XI თავი.

გაიგეს სიმონმა და მატრონამ, თუ ვის ჩააცვეს, ვინ ასაზრდოეს და ან ვინ სცხოვრებდა მათთან. დაიწყეს ტირილი შიშისაგან და სიხარულისაგან და სთქვა ანგელოზმა.

— დავრჩი მარტო მინდორში ტიტველა. წინეთ არ ვიცოდი ადამიანის საჭიროება, არ ვიცოდი არც სიცივე, არც შიმშილი და როცა გარდავიქეცი კაცათ, მომშივდა, გავიყინვე და არ ვიცოდი რა მექნა. შევხედე, მინდორში სამლოცველოა ღვთისათვის გაკეთებული, მივედი ღვთის სამლოცველოსთან და მინდოდა აქ თავის შეფარება. სამლოცველო დაკეტილია კლიტით და შიგ შესვლა შეუძლებელი იყო. მოვეფარე სამრეკლოს, რომ ქარს დავმალოდი. დაღამდა, მომშივდა, გავცივდი და მთლათ ავათ გავხდი. უცეფ მესმის: მოდის კაცი გზაზე, მოაქვს ჩექმები და თავს ელაპარაკება. მე პირველათ შევხედე მომაკვდავ კაცის პირისახეს, მის შემდეგ რაც მე კაცათ გარდავიქეცი და ისე საშიშარი მეჩვენა მე ეს სახე, რომ პირი ავარიდე. მესმის, რომ ეს კაცი თავის თავს ელაპარაკება, რა ნაირათ უნდა დაიფაროს თავის სხეული ამ ზამთრის სიცივეებისაგან, რანაირათ უნდა არჩინოს საწყალი ცოლ-შვილი. და მოვიფიქრე: «მე ვკვდები სიცივის და შიმშილისაგან და აი მოდის კაცი, რომელიც მხოლოდ იმაზედ ფიქრობს, რანაირად არჩინოს თავის ცოლ-შვილი და ან როგორ დაიფაროს ტანი ქურქით. იმას არ შეუძლია ჩემი მოხმარება». შემომხედა იმ კაცმა, მოიღუშა, შეიქმნა უფრო საშიშარი და გამიარა გვერდი. მე მომესპო იმედები. უცებ მესმის, მოდის ისევ უკან კაცი. შევხედე, ვერ ვიცანი ის უწინდელ კაცათ. წელან მის პირისახეს სიკვდილის ფერი ედო და ახლა კი გამოცოცხლებულა უცებ და მის პირის სახეზე ვიცანი მე ღმერთი. მოვიდა ჩემთან, ჩამაცვა ტანს და წამიყვანა თან თავის სახლში. მივედი მის სახლში. შემოგვეგება წინ მისი ცოლი და დაიწყო ლაპარაკი.

დედა-კაცი კიდევ უფრო საშიშარი იყო მამაკაცზედ. პირიდგან ბოროტების მეტი არა ამოუდიოდა რა. მე სუნთქმა მიძნელდებოდა ამ ბოროტების სიმყრალიდგან. იმას უნდოდა, მე სიცივეში გავეგდე და მე ვიცოდი, რომ ჩემი გარეთ გაგდებით ისიც მოკვდებოდა. და უცებ ქმარმა ღმერთი გაახსენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-კაცი უცებ გამოიცვალა. როდესაც მოგვიტანა ვახშამი, სულ მე მიცქეროდა,—მეც შევხედე მას და შევატყე, რომ მის პირის სახეს სიკვდილის არარაფერი ეტყობოდა, იგი იყო სრულიად ცოცხალი და მე მასში ვცანი ღმერთი.

და გავიხსენე პირველი სიტყვა ღმერთისა: «გაიგებ, რა არის ხალხში.» მე გავიგე, რომ ხალხში არის სიყვარული. ზამეხარდა ის, რომ ღმერთმა დამიწყო თან-და-თან ასრულება მისი, რასაც დამპირდა და გავიცინე პირველად. მაგრამ ყველაფერი კიდევ ვერ გავიგე. ვერ გავიგე კიდევ, რა არა აქვს მონიჭებული ხალხს და ან რითი სცხოვრებს ხალხი.

დავიწყე თქვენთან ცხოვრება და მე გავატარე ერთი წელიწადი. მოვიდა კაცი და მოგვაბარა იმისთანა ჩექმები შესაკერათ, რომ ერთი წელიწადი ეტარებინა, არც გარღვეულიყო, არც მოქცეულიყო. შევხედე მას და უცებ ზურგს უკან დავინახე ჩემი ამხანაგი, სიკვდილის ანგელოზი. ჩემს მეტს ეს ანგელოზი არავის დაუნახავს; მაგრამ მე კი ვიცოდი ის; ვიცოდი ისიც, რომ მინამ მზე ჩავიდოდა, სული წაერთმევოდა ამ მდიდარს. და მოვიფიქრე: «კაცი იმზადებს თავისთვის რამეს ერთი წლით და არ იცის, რომ ხვალვე მოკვდება». ზამახსენდა აქ მეორე სიტყვა ღვთისა: «გაიგებ, რა არა აქვს მინიჭებული ხალხს».

რა არის ხალხში, მე ეს კი ვიცოდი. ეხლა მე გავიგე, რა არა აქვს მინიჭებული ხალხს. არ აქვს მინიჭებული ხალხს, იცოდეს თუ რა არის საჭირო მისი სხეულისთვის, და გავიღიმე მესამედ. ზამეხარდა ის, რომ დავინახე ჩემი ამხანაგი ანგელოზი და მეორეც ღმერთმა მაცნობა მეორე სიტყვაც.

მაგრამ ყველაფერი მაინც კიდევ ვერ გავიგე. ვერ გავიგე კიდევ, რითი სცხოვრებს ხალხი. ამისათვის იყო, რომ ამდენ ხანს ვსცხოვრებდი შენთან და ველოდი ამ ბოლო სიტყვას ღვთისაგან. მეექვსე წელიწადს მოვიდნენ ორი პატარა ქალები დედა-კაცით, შევხედე მათ, ვიცანი დედა-კაციც და ისიც, თუ რა ნაირათ გადარჩნენ ცოცხალნი ეს პატარა ქალები. ვიცანი და ვიფიქრე: «მთხოვა დედამ შვილების მაგიერ და დაუჯერე დედას, ვიფიქრე უდედ-მამოდ შვილებს არ შეუძლიათ სიცოცხლე მეთქი, მაგრამ სხვა დედა-კაცმა აწოვა და აღზარდა ესენი». როდესაც მოეფერა ეს სხვა ქალი სხვის შვილებს და ტირილი დაიწყო, მე მაშინ ვსცანი ცხოველი ღმერთი და აქ მაცნობა ღმერთმა მესამე სიტყვაც და მაპატივა კიდეც და გავიცინე მესამეჯერ.

## XII თ ა ვ ი.

ზაიძრო ტანისამოსი ანგელოზმა და სრული ნათელით დაიფარა, ასე რომ თვალით ცქერა მისი შეუძლებელი იყო და დაიწყო მან ხმა მაღლა ლაპარაკი, თითქო ის კი არ ლაპარაკობსო—ციდგან ისმის ვიღაცას ხმაო. და სთქვა ანგელოზმა.

— ზავიგე მე რომ კაცი ცოცხალ არს არამც თუ მარტო თავის თავზე ზრუნვით, არამედ სიყვარულით. არ იცოდა დედამ, რა იყო საჭირო მისი შვილების საცხოვრებლათ.

არ ჰქონდა მინიჭებული მდიდარ კაცს, თუ რა იყო მისთვის საჭირო და არც ერთ ადამიანთაგანს არ აქვს მინიჭებული იცოდეს ის, რომ ჩექმები მისთვის საჭირო, თუ მიცვალებულის ჩასაცმელი ჩექმები სალამოსათვის.

დავრჩი მე ცოცხალი, როდესაც კაცათ ვიყავი, მაგრამ ისე კი არა, როგორათაც მე ვფიქრობდი, არა, ისე, როგორიც სიყვარული გამომვლელ კაცში იყო და მის ცოლში, მათ შემიცოდეს მე და შემიყვარეს. დარჩნენ ცოცხალნი ეს ობლები ისე კი არა, როგორც ფიქრობდენ მათზე, არა, ისე როგორიც სიყვარული სხვა დედა-კაცში მოიპოვებოდა; შეეცოდა მას და შეიყვარა ისა. და ცოცხალ არს ხალხი იმითი კი არა, რასაც თვითონ ფიქრობენ, არამედ მით, რომ არის ხალხში სიყვარული:

ვიცოდი წინეთ, რომ ღმერთმა მისცა სიცოცხლე ხალხს მისთვის, რომ იცოცხლონ; ეხლა გავიგე მე, რომ ღმერთს არა სურს ხალხმა ცალ-ცალკე იცხოვროს და არ აცნობა მათ, თუ თვითეულს თავის-თავისთვის რა ესაჭიროება და სურს ღმერთს, რომ ყველა ერთად ძმურათ ცხოვრებდეს და აცნობა კიდევაც, თუ რა არის საჭირო ყველა მათთვის და საზოგადოთ ყველასთვის.

ზავიგე ახლა, რომ ხალხს ჰქონია თავის-თავზე ზრუნვა, მაგრამ ის მარტო ამით არ ცხოვრებს, არამედ ის სცხოვრებს სიყვარულით: ვისაც სიყვარული აქვს, მასთან ღმერთიც არის, რადგან ღმერთი არის სიყვარული.

იგალობა ანგელოზმა სადიდებელ-სამგალობელო ისეთის ხმით, რომ მთელი ქოხი შეინძრა.

ზაიხსნა ჭერი და დაიდგა დედა-მიწიდგან ცამდისინ ბრწყინვალე სვეტი. სიმონი თავისი ცოლშვილით მიწაზე დაეცენ, გაეშალა ანგელოზს ზურგს უკან ფრთები და ამაღლდა ის ცაში.

როდესაც სიმონი გრძნობაში მოვიდა, ქოხი ისევ უწინდულად თავის ადგილზედ იდგა და მასში გარდა თავის ოჯახისა არავინ იყო.

თეოფილე ხუსკივაძე.

# განცხადებანი.


გამოცემა გიორგი ქართველიშვილისა

ახლად დაიბეჭდა ᲓᲐ ისყიდება «დროების» რედაქციაში.

## ვახუშტი
## საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი.

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან,

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

გრ. ჩარკვიანის.

☛ ქართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები ქ. თფილისში ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ სემინარიის პირდაპირ ზუბალოვის სახლებში.

### გამოვიდა და ისყიდება

ქართული სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ახსნით: ლოცვები, ათი მცნება და სიმვოლო სარწმუნოებისა.

შედგენილი მღვ. ნესტორ ყუბანეიშვილისაგან. ისყიდება თბილისში—ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში და ორპირში—წიგნის შემდგენელის ბინაზე.

(10—2)

### ისყიდება

ახალი სახელმძღვანელო წიგნი

## ქართული ქრისტომატია

უმცროს კლასებისათვის.

შედგენილი მიხეილ ნასიძისაგან.

ფასი თოთხმეტი შაური.

შინაარსი: ა) პატარ-პატარა წერილები, ლექსები და იგავები, ბ) ზღაპრები, გ) საქართველოს ცხოვრებიდამ და ბუნებიდამ (რჩეული ადგილები ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწერებიდამ), დ) საქართველოს ისტორიიდამ.

წიგნი ისყიდება თბილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ქალაქ გარედამ ვინც ერთს ეგზემპლიარს დაიბარებს, გასაგზავნი ორი შაური უნდა დაუმატოს. ვინც დაიბარებს არა ნაკლებ 10-სა, მას წიგნი დაეთმობა ცამეტ შაურად, ხოლო გაგზავნის ხარჯი კი მისი იქნება.

(10—2)



შინაარსი: ოფიც. ნაწ.: განჩინებანი უწ. სინოდისა. —წესდება სასულ. სასწ.—არა ოფ. ნაწ: იმერ. ეპისკოპოსის ოცდა ხუთის წლის მსახურებისა გამო.—თბილისის სასულიერო ეპარქ. სასწავლებელი.—მოგზაურობა ათვხაზეთში.— სვანეთიდამ — რაჭიდამ. — ლეჩხუმიდამ — ფშავიდამ.—რით სცხოვრებს ხალხი. — განცხადებანი.



*Доз. цензурою Кутаисъ, Сенктября 14, 1885 г.*

რედაქტორი-გამომცემელი მღ. დ. ღამბაშიძე.

Скоропечатня Зедгинидзе и Перадзе въ Кутаисѣ.

მსწრაფელმბეჭდავი ზედგინიძისა ᲓᲐ ფერაძისა.